



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაჭავარიანი ნუნუ ილიას ასული



ნ. ი. მაჭავარიანი

მაჭავარიანი ნუნუ ილიას ასული (27. II. 1898, თბილისი, – 5. IV. 1975, ცხინვალი), თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართველო. არტისტი (1945). 1915-იდან სწავლობდა კიევის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, 1913–15 – თბილისში. სამხატვრო სასწავლებელში, 1917-იდან – თბილისში, ქართ. დრამ. საზღვრის დრამ. კურსებზე



ნ. ი. მაჭავარიანი. თებრო. დ. წეროძე. კადრი ფილმიდან "მაგდანას ლურჯა".

(თავისუფალი მსმენელი). სცენაზე პირველად გამოვიდა ნაძალადევის მუშათა თეატრში (1918). მუშაობდა ქუთაისის (1920, 1924), დუშეთის (დრამწრე, 1921), ჭიათურის (1922), ბათუმის (1923) და თბილ. (1925) მუშათა თეატრებში; 1926 ისევ მიიწვიეს ქუთაისის თეატრში, სადაც ერთი წელი მუშაობდა კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით. 1929-იდან რუსთაველის, 1931–36 კი თბილ. კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობი იყო. შესრულებული როლები: ქაბატო, დიდედა (ა. ცაგარლის „ხანუმა“), რუქაია, გაიანე (ა. სუმბათაშვილის „ღალატი“), კრუჩინინა (ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“), დემდემონა (უ. შექსპირის „ოტელო“), ივდითი (კ. გუცკოვის „ურთელ აკოსტა“) და სხვ. 1937–55 მუშაობდა საქართველო. სხვადასხვა ქალაქში (ხულო, თელავი, ახალციხე, გორი) წამყვან მსახიობად; 1939–43 იყო საქართველო. ფილარმონიის ესტრადის მსახიობი; 1955 მიიწვიეს ცხინვალის თეატრში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა. გადაღებულია ფილმებში: „ჭირვეული მეზობლები“

(რეჟ. შ. მანაგაძე, 1945), „მაგდანას ლურჯა“ (თებრო; რეჟ-ები: თ. აბულაძე, რ. ჩხეიძე, 1955), „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“ (ბებია; რეჟ. ს. დოლიძე, 1959), „კეთილი ადამიანები“ (რეჟ. შ. მანაგაძე, 1961), „ჯარისკაცის მამა“ (რეჟ. რ. ჩხეიძე, 1964), „შეხვედრა მთაში“ (რეჟ. ნ. სანიშვილი, 1966), „დიდოსტატის მარჯვენა“ (რეჟ-ები: ვ. ტაბლიაშვილი, დ. აბაშიძე, 1970), „მოიტაცეს თამარ ქალი“ (რეჟ. ლ. გორდელაძე, 1971), „მშვიდობით, ინესა!“ (რეჟ. ი. ასათიანი, 1972) და სხვ.
